



ა.წ. 3-8 მაისს აზერბაიჯანში, ქ. ბაქოს სლავურ უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი "აზერბაიჯანმცოდნეობის აქტუალური პრობლემები". სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (ინგლისი, საფრანგეთი, ირანი, ლატვია, თურქეთი და ა.შ), მათ შორის იყვნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნინო მინდიაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი) და თამარ შინჯიაშვილი (განათლების ფაკულტეტი).

ნინო მინდიაშვილი დამსწერე საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით "ქართულ - აზერბაიჯანული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები". თამარ შინჯიაშვილი - "საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების დემოგრაფიული პორტრეტი". მათმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სლავური უნივერსიტეტის რექტორისა და პრორექტორების მხრიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისა და გაგრძელების სურვილი გამოთქვა.